საქართველოს მთავრობის

დადგენილება №340

2016 წლის 21 ივლისი

ქ. თბილისი

„საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ნუმერაციის ეროვნული სისტემის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 18 ნოემბრის №355 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ნუმერაციის ეროვნული სისტემის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 18 ნოემბრის №355 დადგენილებაში (სსმ, 25/11/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და №3 დანართის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**

„დანართი 3

1. XX (XXX) ფორმატის მოკლე ნომრები (კოდები)

1. XX (XXX) ფორმატის მოკლე ნომრები (კოდები)

	1 XX (XXX) ფორმატის მოკლე ნომრების (კოდების) პირველი და მეორე ციფრები										
	№	10	11	12	13	14	15	16	17	18	19
	1		სახანძრო- სამაშველო სამსახური	შსს რეზერვი	საავტომ ტრანსპორტის მოძრავი ტექ. დახმარება	საქართველოს პარლამენტი	საქართველოს მთავრობა				
	2		გადაუდებელი დახმარების ევრონომერი	შსს-ის საპატრულო პოლიცია	ტაქსის გამოძახება	აჭარის და აფხაზეთის (დროებით ქ.თბილისში) ა.რ. უმაღლესი საბჭოები	საქართველოს მთავრობის რეზერვი				
	3		სასწრაფო სამედიცინო დახმარება	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	ტრანსპორტის (აეროპორტები, ავტოსადგურები, რკინიგზის სადგურები, საზღვაო პორტები, ადგილობრივი საზოგადოებრივი ტრანსპორტის) მოძრაობის საინფორმაციო - საცნობარო სამსახურები	აჭარის და აფხაზეთის (დროებით ქ.თბილისში) ა.რ. მთავრობა	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი				
	4		გაზის საავარიო სამსახური	შსს რეზერვი	რეზერვი	საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ერთიანი საინფორმაციო სამსახური	საქართველოს მთავრობის რეზერვი				

						(რეზერვი)				რეზერვი	
	5		კომუნალური მეურნეობის (ელექტრომომარაგება, წყალმომარაგება, სანიაღვრე მეურნეობა) საავარიო სამსახურები	შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიცია	რეზერვი	აჭარის და აფხაზეთის (დროებით ქ.თბილისში) ა.რ. სამინისტროები	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო-ანალიტიკური სამსახური და შემოსავლების სამსახური				
	6		საზოგადოებრივი მომსახურება (ევრონომერი)	შსს გენერალური ინსპექცია	რეზერვი	სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციები					
1 XX (XXX) ფორმატის მოკლე ნომრების (კოდების) მესამე ციფრი	7	საოპერატორო კომპანიების არჩევის პრეფიქსულ კოდი	საქართველოს მთავრობის რეზერვი	შსს რეზერვი	რეზერვი	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იუსტიციის სახლები		მოკლე ნომრები არაავტორიზებადი საქმიანობისათვის	მოკლე ნომრები ავტორიზებადი საქმიანობისათვის		
	8		გაერთიანებ. საინფორმ-საცნობარო (ევრონომერი)	შსს რეზერვი	რეზერვი	1480 საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ -ციფრული მაუწყებლობის სააგენტო 1481 საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი 1482-1489 საქართველოს მთავრობის რეზერვი	საქართველოს მთავრობის რეზერვი			საფოსტო კავშ. ოპერატორების საინფორმაციო სამსახური	
	9		ელექტრონული კომუნიკაციების საოპერატორო კომპანიების სამსახურების რეზერვი	შსს რეზერვი	რეზერვი	1490-1498 საქართველოს მთავრობის რეზერვი ---------- 1499 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და რეჟიმის დეპარტამენტი				რეზერვი	

	0		ელექტრონული კომუნიკაციების საოპერატორო კომპანიების საავარიო და საინფორმაციო-საცნობარო სამსახურ.	შ.ს.ს. რეზერვი	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ცხელი ხაზები	საქართველოს სამინისტროები	საქართველოს სამინისტროები				

2. ნუმერაციის ახალი სისტემა ითვალისწინებს საგანგებო (ექსტრემალური) სამსახურების შემდეგ უნიფიცირებულ ერთიან სამნიშნა სპეციალურ მოკლე ნომრებს: სახანძრო-სამაშველო სამსახურის ერთიანი სამნიშნა ნომერი – 111, საგანგებო სიტუაციებში გადაუდებელი დახმარების გამოძახების ერთიანი სამნიშნა ევრონომერი – 112, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ერთიანი სამნიშნა ნომერი – 113, გაზის საავარიო სამსახურის ერთიანი სამნიშნა ნომერი – 114, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის ერთიანი სამნიშნა ნომერი – 122, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ერთიანი სამნიშნა ნომერი – 123, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის ერთიანი სამნიშნა ნომერი – 125, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ერთიანი სამნიშნა ნომერი – 126 და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ერთიანი სამნიშნა ნომერი - 153.“.